ზვიად წიკლაური, ძელის დისკრეტულ განტოლებათა სისტემის იტერაციული ამოხსნის შესახებ 238

Irma Tsivtsivadze, On the Fourier Coefficients of a Double Indefinite Integral 238

ირმა წივწივაძე, განუსაზღვრელი ორმაგი ინტეგრალის ფურიეს კოეფიციენტების შესახებ 238

B. Tsutskiridze, L. Jikidze, The Nonstationary Flow of a Conducting Fluid in a Plane Pipe in the Presence of a Transverse Magnetic Field 239

ბ. ცუცქირიძე, ლ. ჯიქიძე, გამტარი სითხის არასტაციონარული დინება ბრტყელ მილში, როდესაც მოქმედებს გარეგანი მაგნიტური ველი 239

Margarita Tutberidze, Cylindrical Deformation of a Prismatic Shell with the Thickness Vanishing at Infinity 240

მარგარიტა თუთბერიძე, უსასრულობაში ქრობადი სისქის პრიზმული გარსის ცილინდრული დეფორმაციის ამოცანების გამოკვლევა 240

Duglas Ugulava, Approximation in Mean on Homogeneous Spaces 240

დუგლას უგულავა, საშუალოდ აპროქსიმაცია ერთგვაროვან სივრცეებზე 240

Mohammad J. Vanaei, S. M. B. Kashani, Cohomogeneity One Lorentzian Manifolds 241

მოჰამად ჯ. ვანაეი, ს.მ.ბ. კაშანი, ლორენცის მრავალნაირობის კოჰომოგენურობა 241

Zurab Vashakidze, Approximate Solution of Antiplane Problem of Elasticity Theory for Composite Bodies Weakened by Cracks Based On Finite-Elements Method 242

ზურაბ ვაშაკიძე, ბზარებით შესუსტებული შედგენილი სხეულისთვის დრეკადობის თეორიის ანტიბრტყელი ამოცანის მიახლოებითი ამოხსნა სასრულ ელემენტთა მეთოდის გამოყენებით 242

Tamaz Vashakmadze, New Algorithm of the Estimate Operation Number for Product of Polynomials 244

თამაზ ვაშაყმაძე, პოლინომების გამრავლების ოპერაციათა რიცხვის შეფასების ახალი ალგორითმი 244

Tamaz Vashakmadze, To Creation and Design of Refined Theories of von Kármán–Koiter Type for Thin-Walled Continuum Medium 245

თამაზ ვაშაყმაძე, თხელკედლოვანი უწყვეტი გარემოსათვის ფონ კარმან-კოიტერის ტიპის დაზუსტებულ თეორიათა აგებისა და დიზაინის შესახებ 245

Mamuka Vazagashvili, Jumber Kakhidze, David Kipiani, Calculation of Thin-Walled Structures with Cracks 246

მამუკა ვაზაგაშვილი, ჯუმბერ კახიძე, დავით ყიფიანი, ბზარების მქონე თხელკედლიანი კონსტრუქციების გაანგარიშება 246

Teimuraz Vepkhvadze, On the Number of Representations of a Positive Integer by Binary Forms Belonging to Multi-Class Genera 247

თეიმურაზ ვეფხვაძე, დადებითი მთელი რიცხვის იმ ბინარული ფორმებით წარმოდგენათა რაოდენობის შესახებ, რომლებიც მრავალკლასიან გვარს ეკუთვნის 247

Fatima Verulashvili, Revaz Kakhidze, Influence of Delamination Type Defects on Parameters of Sandwich Plate 247

ფატიმა ვერულაშვილი, რევაზ კახიძე, სამფენოვანი ფილის პარამეტრებზე განფენის ტიპის დეფექტების გავლენა 247

Furkan Yildirim, Kursat Akbulut, Cross-Sections in a Special Class of Semi-Cotangent Bundles 248

ფურკან ილდირიმი, კურსატ აკბულუთი, განივი კვეთები ნახევრად-კომხებ ფიბრაციების სპეციალურ კლასებში 248

Kenan Yildirim, A Suggestion for Controlling of a Nonlinear Plate Via Maximum Principle 249

კენან ილდირიმი, არაწრფივი ფირფიტის მაქსიმუმის პრინციპით კონტროლის მეთოდის შემოთავაზება 249

Kenan Yildirim, Optimal Vibration Control for a Mindlin-Type Beam 249

კენან ილდირიმი, ოპტიმალური ვიბრაციის კონტროლი მინდლინის ტიპის ძელის შემთხვევაში 249

Natela Zirakashvili, Study of Stress-Strain State of Infinite Elastic Body with Parabolic Notch 250

ნათელა ზირაქაშვილი, პარაბოლურ ჭრილიანი უსასრულო დრეკადი სხეულის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შესწავლა . . . 250

Natela Zirakashvili, Mariam Mateshvili, Numerical Solution of Stresses Localization Problem by Boundary Element Method . . . 250

ნათელა ზირაქაშვილი, მარიამ მათეშვილი, ძაბვების ლოკალიზაციის ამოცანის რიცხვითი ამოხსნა სასაზღვრო ელემენტთა მეთოდით . . . 250

Index **253**

პროფესორი რევაზ ბანცური – 80



წელს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ მათემატიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ რევაზ ბანცურს.

რ. ბანცური დაიბადა 1936 წელს 10 ივნისს, დუშეთის რაიონის სოფ. ბანცურთკარში. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულებიდან, 1960 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე სხვადასხვა სამეცნიერო პოზიციებზე მუშაობდა ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტში. 1966 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1982 წელს სადოქტორო დისერტაცია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მექანიკის პრობლემების ინსტიტუტში. 1982 წლიდან იგი ხელმძღვანელობდა დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილებას.

1997 წელს რევაზ ბანცური არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ის გახლდათ თეორიულ და გამოყენებით მექანიკაში რუსეთის ნაციონალური კომიტეტის წევრი.

რევაზ ბანცური იყო აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის მოწაფე და მისი სამეცნიერო იდეების ღირსეული გამგრძელებელი. მან თავისი შრომები მიუძღვნა დრეკადობის თეორიის სასაზღვრო და საკონტაქტო ამოცანებს, ანალიზურ ფუნქციათა თეორიის შერეულ სასაზღვრო ამოცანებს, დრეკადობის თეორიის ამოცანებს ნაწილობრივ-უცნობ საზღვრიანი არეებისათვის, ნახვევის ტიპის ინტეგრალურ განტოლებებისა და უსასრულო ალგებრულ განტოლებათა სისტემების გამოკვლევას. მან არსებითად განავითარა აკად. ნ. მუსხელიშვილის

კვლევის სფერო, მნიშვნელოვნად გაამდიდრა ახალი მიმართულებებით ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენების არეალი.

რ. ბანცურმა ინტეგრალური გარდაქმნების გამოყენებით საკონტაქტო ამოცანები დაიყვანა ანალიზურ ფუნქციათა თეორიის ახალი ტიპის ამოცანებზე და უწოდა მათ კარლემანის ტიპის ამოცანები ზოლისათვის. მან შეიმუშავა ფაქტორიზაციის ახალი მეთოდი და კარლემანის ტიპის ამოცანა ამოხსნა საკმაოდ ზოგად შემთხვევაში. ამ მეთოდის გამოყენებით კი ამოხსნა ძალზედ მნიშვნელოვანი საკონტაქტო ამოცანები იზოტროპული და ანიზოტროპული სხეულებისათვის. ეს მეთოდი, გარდა დრეკადობის თეორიისა, შეიძლება გამოყენებულ იქნას ნახვევის ტიპის განტოლებებისა და ამავე ტიპის უსასრულო ალგებრულ განტოლებათა სისტემების თეორიაში, სითბოს გავრცელების ამოცანებში მესამე გვარის ძირითადი სასაზღვრო პირობებით, ელექტრომაგნიტური ტალღების დიფრაქციის ამოცანებში და სხვა. ზემოთ აღნიშნული ამოცანებისათვის მის მიერ შემუშავებული მეთოდი არის ისეთივე მნიშვნელობის, როგორც გასული საუკუნის 40-იან წლებში შემუშავებული მუსხელიშვილის მეთოდი კლასიკური საკონტაქტო ამოცანებისათვის. ეს მეთოდი ცნობილია კანონიკურ ამონახსნთა ბანცურის მეთოდის სახელწოდებით, იგი ამ დროისათვის ითვლება უნიკალურ ზოგად მეთოდად და წარმატებით გამოიყენება საკონტაქტო ამოცანების ეფექტური ამოხსნებისათვის.

ამოცანები ნაწილობრივ-უცნობ საზღვრიანი არეებისათვის ეხება ძაბვების ოპტიმალურ გაანაწილებას სხეულში. ისინი მიეკუთვნებიან ოპტიმალური პროექტირების რთულ და ძალზედ მნიშვნელოვან ამოცანებს. ზოგად შემთხვევაში, ისინი არაწრფივ ამოცანებს წარმოადგენენ.

რ. ბანცურმა ჩამოაყალიბა დრეკადობის ბრტყელი თეორიისა და ფირფიტების ღუნვის თეორიის ამოცანები ამოცანათა ზოგადი კლასისათვის ნაწილობრივ უცნობი საზღვრით და მიიყვანა ისინი თავდაპირველად წრფივ ამოცანებზე, შემდეგ ანალიზურ ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანებზე გადაადგილებებით და უწოდა მათ კარლემანის ტიპის ამოცანები წრიული რგოლისათვის. მან შეიმუშავა ფაქტორიზაციის მეორე მეთოდი, რომლის გამოყენებით მიღებულ იქნა ასეთი კლასის ამოცანების ამოხსნადობის დასრულებული თეორია.

მუსხელიშვილისა და ვინერ-ჰოპფის მეთოდების გამოყენებით რ. ბანცურმა ბზარების სტატიკური ამოცანები, როდესაც ბზარი გადის სხეულის საზღვარზე ან უბან-უბან ერთგვაროვანი არის გამყოფ საზღვარზე, დაიყვანა წრფივი შეუღლების ამოცანაზე ვინერის კლასის კოეფიციენტით. მან მიიღო ეფექტური ამოხსნები და შეისწავლა ძაბვების კონცენტრაციის ამოცანა ბზარის ბოლოებში. ამრიგად, მან მიიღო მნიშვნელოვანი შედეგები რღვევის მექანიკაში. ზემოთაღნიშნული შედეგი სპეციალისტების მიერ აღიარებულ იქნა ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად.

მუდმივი ან ცვლადი სიჩქარით სხეულში ბზარის გავრცელების ამოცანები მიეკუთვნება შერეულ ამოცანათა ისეთ კლასს, როდესაც სასაზღვრო პირობების შეცვლის წერტილები გადაადგილდებიან დროში. რ. ბანცურმა განიხილა ამოცანები, როდესაც სიბრტყეში ნახევრად უსასრულო ბზარები ვრცელდებიან სწორხაზოვნად მუდმივი ან ცვლადი სიჩქარით. მუდმივი სიჩქარით ბზარის გავრცელების ამოცანა ცვლადთა გარდაქმნით დაიყვანება კლასიკური დინამიკის ამოცანაზე, ხოლო ცვლადი სიჩქარით ბზარის გავრცელების ამოცა-

ნაში დროის ფურიე–ლაპლასის გარდაქმნით მიიღება განზოგადოებული ვინერ–ჰოპფის ამოცანა. მიღებულია ამ ამოცანის ეფექტური ამონახსნი. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება საკონტაქტო ამოცანებში, როდესაც ნახევრად უსასრულო მყარი შტამპი ცვლადი სიჩქარით გადაადგილდება ნახევარსიბრტყის ან ზოლის საზღვარზე. ამ ჯგუფის ამოცანებშიც მიღებულია მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი შედეგები.

კოშის ტიპის ინტეგრალის აპარატი არ აღმოჩნდა საკმარისი კარლემანის ტიპის ამოცანებში ზოლისათვის და წრიული რგოლისათვის, ამიტომ რ. ბანცურმა ააგო შესაბამისი ინტეგრალური წარმოდგენები, რომლებიც ამ შემთხვევაში იგივე როლს ასრულებენ, რასაც კოშის ტიპის ინტეგრალები წრფივი შეუღლების ამოცანებში.

მიღებული შედეგების გამოყენებით რ. ბანცურმა ააგო წრიული რგოლისათვის რიმან-ჰილბერტის ამოცანისა და ანალიზურ ფუნქციათა თეორიის შერეული ამოცანის ამონახსნი, აგრეთვე ნახვევის ტიპის უსასრულო ალგებრულ განტოლებათა სისტემის ეფექტური ამოხსნები.

რ. ბანცურმა გ. ჯანაშიასთან ერთად დაამტკიცა ვინერის ფუნქციათა ალგებრის ინვარიანტობა ღერძზე ჰილბერტის გარდაქმნის მიმართ. ამან საშუალება მისცა ნახვევის ტიპის ინტეგრალური განტოლებების ამოხსნა ნახევარღერძზე ჯამებადი გულისათვის მიეყვანა წრფივი შეუღლების ამოცანაზე ვინერის ფუნქციათა კლასში.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ რ. ბანცურმა საერთაშორისოდ აღიარებული წვლილი შეიტანა დრეკადობის თეორიის განვითარებაში, არსებითად განავითარა ნ. მუსხელიშვილის მეთოდი და მნიშვნელოვნად გააფართოვა დრეკადობის ბრტყელ თეორიაში ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენების სფერო.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რ. ბანცურის დამსახურება ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. მრავალი წლის განმავლობაში ის მუშაობდა თეორიული მექანიკის კათედრაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კითხულობდა ლექციებს დრეკადობის თეორიაში, აღზარდა მრავალი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი. დიდი მკვლევარი, შესანიშნავი მოქალაქე, საუკეთესო ოჯახის მქონე, თავმდაბალი და მოკრძალებული პიროვნება რევაზ ბანცური გარდაიცვალა 2014 წელს. მან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მეცნიერებაში.

ნ. შავლაყაძე

Professor Revaz Bantsuri – 80



This year is marked by the 80-th birthday anniversary of Professor Revaz Bantsuri, a prominent Georgian mathematician, Corresponding Member of the Georgian National Academy of Sciences, Doctor of physical and mathematical sciences.

He was born on June 10, 1936 in the village of Bantsurtkari (Dusheti region). Upon graduation from I. Javakhishvili Tbilisi State University, since 1960 up to the end of his life he has been working at A. Razmadze Mathematical Institute holding different positions. In 1966 he defended his Candidate's thesis and in 1982 Doctoral thesis at the Institute of Problems of Mechanics of the Russian Academy of Sciences. Since 1983 he headed the Department of Mathematical Theory of Elasticity.

In 1997, Revaz Bantsuri was elected a Corresponding Member of the Georgian National Academy of Sciences. He was a member of Russian National Committee in Theoretical and Applied Mechanics.

Revaz Bantsuri was Niko Muskhelishvili's pupil and worthy successor of his scientific ideas.

He devoted all his works to: boundary and contact problems of the plane theory of elasticity, mixed boundary value problems of the theory of analytic functions, problems of elasticity for domains with partially unknown boundaries, systems of convolution type integral equations and infinite algebraic equations. He essentially developed the well-known Muskhelishvili research area, having considerably enriched with new trends a range of application of methods of the theory of analytic functions.

Using integral transformations, R. Bantsuri reduced contact problems of certain classes to boundary value problems of the theory of analytic functions of new type and called them the Carleman type problems for a strip. He elaborated a new type method of factorization and solved the Carleman type problem in a rather general case. Applying this method, he solved very important contact problems of various types for isotropic and anisotropic bodies.

This method, besides the theory of elasticity, can be used in the theory of integral equations of convolution type and in the theory of systems of infinite algebraic equations of the same type, in problems of heat distribution with third kind boundary conditions, in problems of electromagnetic wave diffraction, etc. The method for the above-mentioned problems is of the same importance as that developed by Muskhelishvili in the 40ies of the past century for investigation of classical contact problems. The method is known as R. Bantsuri's method of canonical solutions, and presently is a unique general method successfully used for effective solution of the above-mentioned contact problems.

The problems for domains with partially unknown boundaries deal with optimal distribution of stresses in a body. They belong to mathematically complicated and very important problems of optimal projecting. In a general case, these problems are reduced to nonlinear problems.

Revaz Bantsuri formulated the problems of the plane theory of elasticity and plate bending for some classes of problems with partially unknown boundaries and reduced them first to linear problems and then to the problems of the theory of analytic functions with shifts and called them the Carleman type problems for a circular ring. He elaborated the second method of factorization whose application allowed us to get a completed theory of solvability for that class of problems.

Applying the methods of Muskhelishvili and Wiener-Hopf, R. Bantsuri reduced static problems of cracks, when the crack comes to the boundary or to the interface of a piecewise homogeneous medium, to the problem of linear conjugation with a Wiener class coefficient. He constructed effective solutions and studied the question on the stress concentration at the crack ends. Thus he has obtained significant results in fracture mechanics. The above-mentioned result of R. Bantsuri is recognized by specialists as one of the best results.

The problems of crack distribution in a body with constant or varying velocity belong to such a class of mixed problems when the points of change of boundary conditions displace in time. R. Bantsuri considered the problems when semi-infinite cracks in a plane spread linearly with constant or varying velocity. The problems of crack distribution with constant velocity were reduced by means of variable transformations to the problem of classical dynamics, while in the problem of crack distribution with varying velocity by means of Fourier-Laplace transformation we get the generalized Wiener-Hopf problem. An effective solution of that problem is obtained. The above method is used in contact problems when a semi-infinite rigid punch moves with varying velocity at the boundary of a half-plane or a strip. Very interesting and significant results were obtained in this group of problems, as well.

The apparatus of the Cauchy type integral turned out to be insufficient for solving the Carleman type problems for a strip and a circular ring, hence Revaz Bantsuri constructed new integral representations which in this case have played the same role as the Cauchy type integrals in problems of linear conjugation. Using the obtained results, R. Bantsuri constructed for a circular ring a solution for the Riemann-Hilbert problem and for the mixed problem of the theory of analytic functions, he obtained effective solutions of a system of infinite convolution type algebraic equations.

R. Bantsuri together with G. Janashiya proved the invariance of algebra of Wiener functions on the axis with respect to Hilbert transformations.

This allowed him to reduce a solution of convolution type integral equations on the semi-axis for a summable kernel to the problem of linear conjugation in a class of Wiener functions.

Relying on the above-said, we can conclude that Revaz Bantsuri has made an internationally recognized contribution to the development of the theory of elasticity. He improved N. Muskhelishvili's method and largely extended an area of application of methods of the theory of analytic functions in the plane theory of elasticity.

A special mention should be made of Revaz Bantsuri's contribution to the cause of education of the young generation. For many years he worked at the Chair of Theoretical Mechanics of Tbilisi State University, delivered lectures in the theory of elasticity and brought up many candidates and doctors of sciences. Revaz Bantsuri, a great researcher, remarkable citizen, excellent family man, modest and full of responsibility, passed away in 2014. He made a major contribution to the science.

Nugzar Shavlakadze

პროფესორი მერაბ მიქელაძე – 90



მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი მერაბ შალვას ძე მიქელაძე დაიბადა 1926 წლის 3 თებერვალს, გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის, აკადემიკოს შალვა მიქელაძის ოჯახში.

1948 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მერაბ მიქელაძემ სწავლა განაგრძო მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მექანიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში. იქვე დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, ეს უკანასკნელი - საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებიდან 10 წლის შემდეგ.

1952 წლის ივნისიდან 1953 წლის სექტემბრამდე იგი მუშაობდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მექანიკის ინსტიტუტში. 1953 წლის სექტემბრიდან კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია. პარალელურად (1953-56 წლებში) ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკისა და ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტებზე.

1958 წელს მერაბ მიქელაძე თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში თეორიული მექანიკის კათედრის გამგედ მიიწვიეს. ამ ინსტიტუტის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან გაერთიანების შემდეგ კი, იგი სამშენებლო მექანიკის კათედრას ხელმძღვანელობდა (1960-1982 წწ.).

მერაბ მიქელაძემ თითქმის ოთხი ათეული წელი მოანდომა თხელი ფილებისა და გარსების სამშენებლო მექანიკის არაკლასიკური ამოცანების შესწავლა-გამოკვლევას. მისი წყალობით საგრძნობლად გაფართოვდა კვლევა ამ დარგში გარსთა არაწრფივი ყოფაქცევისა და, უპირველეს ყოვლისა, თხელი ანიზოტროპული გარსების შესწავლის ხარჯზე. სამეცნიერო თემატიკის არჩევანი ნაკარნახევი იყო იმ დიდი მნიშვნელობით, რაც ორმოციანი წლების დასაწყისიდან ტექნიკაში ანიზოტროპულ მასალებსა და მათგან დამზადებულ კონსტრუქციებს მიენიჭა. ამ სფეროს „პირველმკვლევრად“ მოგვევლინა სწორედ მ. მიქელაძე, რომელმაც ჟურნალში „ДАН СССР“ 1954 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „თავდაპირველად ანიზოტროპული გარსების ზიდვის უნარის შესახებ“. ეს ნაშრომი იმითაცაა საყურადღებო, რომ ძირითადი ფიზიკური დამოკიდებულების დასადგენად მ. მიქელაძემ მოიშველია არა მცირე დრეკად-პლასტიკური დეფორმაციების ნადაი-ჰენკი-ილიუშინის თეორია (რომლითაც „განუხრელად“ სარგებლობდა ორმოცდაათიან წლებში თითქმის ყველა საბჭოთა მეცნიერი), არამედ ლევი-მიზესის დინების თეორია (ორთოტროპული ტანებისათვის განკუთვნილი, მიზეს-ჰილის ვარიანტის შესაბამისად). ამრიგად, მ. მიქელაძის მიერ შემოთავაზებულ თეორიას საფუძვლად დაედო კირჰოფ-ლიავის ცნობილი ჰიპოთეზები, მიზეს-ჰილის პლასტიკური დინების თეორიის ძირითადი დამოკიდებულებანი და პლასტიკურ-ხისტი ტანის მოდელი. მის ნაშრომში ამ გზითაა განხილული როგორც სისქის მიხედვით ერთგვაროვანი გარსების, ასევე ფენოვანი კონსტრუქციები, მათი იდეალური ორფენოვანი მოდელების ჩათვლით. შუა ზედაპირის მიმართ სიმეტრიული დინების შემთხვევისათვის დადგენილია „სასრული დამოკიდებულებანი ძაბვებსა და მომენტებს შორის“, რომლებიდანაც, კერძოდ, იზოტროპული გარსებისათვის გამომდინარეობს ა. ილიუშინის ცნობილი ფორმულები. ამასთან, კვლევის მიქელაძისეული გზა საშუალებას გვაძლევს გამოვამჟღავნოთ დამატებითი დამოკიდებულებანი შიგა ძალებს შორის, რის წყალობითაც ხერხდება სტატიკურად რკვევადი ამოცანების კლასის გაფართოება. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ანიზოტროპული ცილინდრული გარსების ნახევრად მომენტური თეორია, რომელთა სისქეც გარე ძალთა მოცემული სისტემისთვის განისაზღვრება შუა ზედაპირის თითოეულ წერტილში დენადობის პირობიდან. შემდგომში ანალოგიური თეორია განავითარა მ. მიქელაძემ ბრუნვითი ანაკრები გარსებისათვის, რომლებიც შედგენილია პარალელების ან მერიდიანების გასწვრივ სახსრულად შენაწევრებული ელემენტებისგან. განიხილა, აგრეთვე, რამდენიმე ღერძსიმეტრიული ამოცანა ზიდვის უნარის განსაზღვრის შესახებ და ერთი დრეკად-პლასტიკური ამოცანა, რომლის შემთხვევაში შესაძლებელი გახდა ცხადი ამონახსნის მიღება. შესასწავლ ამოცანათა კლასის გაფართოებისა და საჭირბოროტო საინჟინრო საკითხების გადაჭრის სურვილმა შთააგონა მ. მიქელაძე გამოეყენებინა პლასტიკურ-ხისტი საანგარიშო სქემის ახალი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც გარსის არა მარტო დრეკადი, არამედ პლასტიკური ნაწილებიც ხისტად მიიჩნევა. ამგვარი მიდგომის შედეგად ძალებისა და მომენტების ექვსგანზომილებიან სივრცეში დენადობის ზღვრული ჰიპერზედაპირი გარდაიქმნება ჰიპერელიფსოიდად, რომელიც, დინების თანმხლებ კანონთან ერთად, საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ თეორემები ზღვრული წონასწორობის შესახებ ანიზოტროპული გარსებისთვისაც. ამ თეორემების დახმარებით შესაძლებელი გახდა დამრეცი ბრუნვითი გარსების, გაჭიმულ-გაღუნული წრიული ფილებისა და სხვა ნაგებობების ზიდვის უნარის განსაზღვრა. ანიზოტროპული გარსების თეორიაში შემოღებული საანგარიშო მოდელები შემდგომში

გავრცელდა ისეთ გარსებზეც, რომელთა მასალაც განსხვავებულ წინააღმდეგობას უწევს კუმშვასა და გაჭიმვას. მ. მიქელაძის მიერ მიღებული ძირითადი დამოკიდებულებანი საშუალებას გვაძლევს ზოგადი სახით ჩამოვაყალიბოთ ამოცანა კანონის შესახებ, რომლითაც განსაზღვრულია სისქის ცვლილების ისეთი „ოპტიმალური" აგება, რომლის დროსაც მოცემულ დატვირთვას მყისიერად გადაჰყავს მთელი კონსტრუქცია დენადობის მდგომარეობაში. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს კონსტრუქციის თანაბარ სიმტკიცეს და მინიმალურ წონას (მოცულობას). მ. მიქელაძის ნაშრომებში განხილულია კონკრეტული ამოცანები, რომლებსაც იზოტროპული მასალის შემთხვევაში მივყავართ ვ. პრაგერის, ვ. ფრაიბერგერის, ბ. ტეკინალპის და სხვათა ცნობილ შედეგებამდე. მეცნიერი ანალოგიური მიდგომით იკვლევდა ამოცანებს გარსის შუა ზედაპირის რაციონალური მოხაზულობისა და რადიოაქტიური დასხივების გზით ლითონის გარსის ოპტიმალურად დაგეგმარების შესახებ. მ. მიქელაძის ეს გამოკვლევები ნაწილობრივ აისახა მის მონოგრაფიებსა („ანიზოტროპული პლასტიკური გარსების სტატიკა", 1963 წ.; „იდეალურად პლასტიკური თხელი გარსების ტექნიკური თეორიის შესავალი", 1969 წ.) და მრავალრიცხოვან სტატიებში, რომელთა ნაწილიც გამოქვეყნდა საზღვარგარეთ. ეს შედეგები ფართოდ შუქდებოდა საბჭოთა და უცხოელი ავტორების მიმოხილვით შრომებში (იხ. მაგ., დ. დრაკერის სტატია „პლასტიკურობა" (ინგლ. ენაზე), გამოქვეყნებული კრებულში „სამშენებლო მექანიკა", ნიუ-იორკი, 1960 წ.; ვ. ოლშაკის, ზ. მრუზისა და პ. პეჟინას ინგლისურიდან ნათარგმნი წიგნი „პლასტიკურობის თეორიის თანამედროვე მდგომარეობა", გამომცემლობა „Мир", 1964 წ.; ი.რ. ლეპიკის სტატია „საინჟინრო ჟურნალში" (ტ. IV, გამ. 3, 1964 წ.); „დრეკად-პლასტიკური და პლასტიკურ-ხისტი ფილებისა და გარსების წონასწორობა"; ვ. ოლშაკისა და ა. სავჩუკის ინგლისურიდან ნათარგმნი წიგნი „გარსთა არადრეკადი ყოფაქცევა", გამომცემლობა „Мир", 1969 წ. და ა.შ.).

1965 წელს მ. მიქელაძის ინიციატივით და მისივე ხელმძღვანელობით სსსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა გამოყენებითი მექანიკის განყოფილება, რომელიც დაკომპლექტდა სპი-ს აღზრდილი ახალგაზრდა მეცნიერებით. დაისახა განყოფილების სამეცნიერო თემატიკის ძირითადი მიმართულებაც - თხელი ფილებისა და გარსების დრეკადი და დრეკად-პლასტიკური წონასწორობის გამოკვლევა მათი ცალკეული ფიზიკური, გეომეტრიული და კინემატიკური პარამეტრების ცვლილების ნახტომისებრი ხასიათის გათვალისწინებით.

მ. მიქელაძის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო მექანიკის კათედრას, რომელიც ჩამოყალიბდა მისი ინიციატივით 1960 წელს და რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა 1982 წლამდე.

განყოფილების გონივრულად ორგანიზებამ და კათედრის თანამშრომელთა სამეცნიერო პოტენციალის გააზრებულად გამოყენებამ მ. მიქელაძეს საშუალება მისცა ჩამოეყალიბებინა ერთიანი ძლიერი სამეცნიერო კოლექტივი.

მ. მიქელაძისა და მისი მოწაფეების მიერ წარმატებით ამოხსნილი მრავალი ამოცანიდან რამდენიმეს დასახელებაც კმარა: 1. თხელი ფილების ღუნვა და ოპტიმალური დაგეგმარება, როდესაც მათი სისქე იცვლება უბან-უბან მუდმივი კანონის მიხედვით; 2. სახსრულად შენაწევრებული ელემენტებისგან შემდგარი დრეკადი და არადრეკადი კონსტრუქციების გაანგარიშება; 3. თანაბარი სიმტკიცის კონსტრუქციების დაგეგმარება რადიაქტიური დასხი-

ვების გზით; 4. არაწრიული მოხაზულობის დრეკადი და პლასტიკური ცილინდრული გარსების გაანგარიშება; 5. ზიდვის უნარის გამოკვლევა; 6. ოპტიმალური დაგეგმარება სიხისტისა და სიმტკიცის პირობების გათვალისწინებით; 7. უჭრი კონსტრუქციების გაანგარიშება; 8. წყვეტილი მახასიათებლების მქონე ფილებისა და ცილინდრული გარსების დრეკად-პლასტიკური ღუნვა მასალის განმტკიცების გათვალისწინებით. აღნიშვნის ღირსია, აგრეთვე, მერაბ მიქელაძის მიერ შესწავლილი საკითხები, რომლებიც ეხება ფოლადის უწყვეტად ჩამოსხმას რადიალურ და ოვალურ დანადგარებზე. ამ კვლევების გამოსავალ დებულებას წარმოადგენდა დიდი მეცნიერის მიერ მიღებული დაშვება, რომ კრისტალიზატორში და მეორადი გაცივების ზონაში სხმულის ქერქი შეიძლება განხილული იყოს როგორც ხისტ-პლასტიკური ცილინდრული გარსი, რომლის დენადობის ზღვარი კუმშვისას მრავალჯერ აღემატება დენადომის ზღვარს გაჭიმვის დროს. ამ ამოცანებს მ. მიქელაძესთან ერთად ეცლევდნენ მისი მოწაფეები.

ცალკე უნდა გამოვყოთ მერაბ მიქელაძის მიერ მანქანათა სამშენებლო მექანიკის სფეროში ჩატარებული სამუშაოები 50-იანი წლების დასაწყისში. ეს ეხებოდა, ძირითადად, სწრაფად მბრუნავი დისკოების, ცილინდრებისა და ღეროების გაანგარიშებას დრეკადობის ფარგლებში და მის გარეთ. შემდგომში ეს კვლევები განავითარეს მისმა მოწაფეებმა.

მ. მიქელაძის გამოკვლევები მანქანათა სამშენებლო მექანიკაში ნაწილობრივ ასახულია მის მონოგრაფიაში ,,კონსტრუქციებისა და მანქანების ელემენტების დრეკადობა და პლასტიკურობა“, 1976 წ.

მ. მიქელაძე, ასევე, ავტორია ხუთი ორიგინალური სახელმძღვანელოსი თანამედროვე სამშენებლო მექანიკის დარგში: გარსთა თეორიის საფუძვლები, 1974 წ.; ფილების ღუნვის თეორია, 1976 წ.; სამშენებლო მექანიკის მოკლე კურსი, 1977 წ.; თხელკედლიანი სივრცითი სისტემების გაანგარიშების საფუძვლები, 1980 წ.; იდეალურად დრეკად-პლასტიკური და პლასტიკურ-ხისტი სისტემების სტატიკა, 1980 წ.

მ. მიქელაძის სამეცნიერო მოღვაწეობის მოკლე დახასიათების დასასრულს აღვნიშნავთ, რომ იგი თავისი დარგის ერთ-ერთი ცნობილი სპეციალისტია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. არა ერთი და ორი ნაშრომი გამოუქვეყნებია მას ცნობილი საზღვარგარეთული სამეცნიერო ჟურნალების ფურცლებზე, მონაწილეობა მიუღია მეცნიერთა რამდენიმე საერთაშორისო ფორუმის მუშაობაში. მერაბ მიქელაძის სამეცნიერო შრომებისათვის დამახასიათებელია აზრის სიახლე და პრაქტიკული მიზანდასახულობა. ეს მეტყველებს ავტორის ფართო ერუდიციასა და მის უნარზე, შემოქმედებითად გამოიყენოს თანამედროვე მათემატიკური აპარატი რთული საინჟინრო ამოცანების შესწავლის დროს.

იმ წვლილის გათვალისწინებით, რომელიც დრეკად-პლასტიკური სისტემების სამშენებლო მექანიკის განვითარებისა და ეროვნული სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში შეიტანა, მერაბ მიქელაძე ღირსეულად ატარებდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის სახელს.

მერაბ მიქელაძე შესანიშნავად გრძნობდა იმ დიდ მნიშვნელობას, რაც ექსპერიმენტულ კვლევას ენიჭება გამოყენებითი მექანიკის დარგში. სწორედ მაშინ, როდესაც მისი თაოსნობით მათემატიკის ინსტიტუტში ლაბორატორიული ბაზა იქმნებოდა, რუმინეთში გამოვიდა აკადემიკოს ბალანისა და მისი მოწაფეების წიგნი ,,ქრომოპლასტიკურობა“, რომელშიც აღწერილია დრეკად-პლასტიკური სისტემების ექსპერიმენტული კვლევის თვალ-

საჩინო და მარტივი მეთოდები. ჩვენ ქვეყანაში ამ მეთოდების პოპულარიზაციისა და განვითარების მიზნით მერაბ მიქელაძემ საჭიროდ ჩათვალა წიგნი რუმინულიდან ეთარგმნა და გამოეცა. ამ მეცნიერისა და მისი მოწაფეების თეორიული კვლევა ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული პრაქტიკასთან. ალბათ, ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ მრავალი ახალგაზრდა, რომლებმაც მისი ხელმძღვანელობით მოსკოვსა თუ თბილისში დაიცვეს დისერტაციები, ნაყოფიერად შრომობს როგორც სამეცნიერო და პედაგოგიურ ასპარეზზე, ისე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მერაბ მიქელაძის პედაგოგიური მოღვაწეობა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა არაერთ თაობას ახსოვს მისი გამართული, ენობრივად დახვეწილი და ღრმააზროვანი ლექციები. სასწავლო პროცესის მოდერნიზაციისა და სრულყოფის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მის მიერ მშობლიურ ენაზე დაწერილმა სახელმძღვანელოებმა. ამასთან, მერაბ მიქელაძე წლების განმავლობაში იყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „სიმტკიცის“ სამეცნიერო კომისიის წევრი და საბჭოთა კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სამეცნიერო მეთოდური კომისიის სამშენებლო მექანიკისა და სამშენებლო კონსტრუქციების წევრი.

როგორც სპი-ს საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარემ, მერაბ მიქელაძემ საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა გაუწოდა დახმარების ხელი მაღალმთიანი რაიონების ნიჭიერ ახალგაზრდობას და შესაძლებლობა მისცა უმაღლესი განათლება საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიეღოთ.

მერაბ მიქელაძე არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ გამორჩეული მამულიშვილი და მოქალაქე იყო. აკადემიკოს შალვა მიქელაძის ტრადიციულ ოჯახში აღზრდილს სამშობლოს სიყვარული ბავშვობიდან ჰქონდა ჩანერგილი. მუდამ მზად იყო ყველგან და ყოველთვის დაეცვა საქართველოს ინტერესები, მაშინაც კი, როდესაც, საბჭოური მმართველობის მძიმე პირობებში, ყოველი პატრიოტული ნაბიჯი პრიმიტიულ-ნაციონალისტურ გამოვლინებად ფასდებოდა. ამის დადასტურება იყო მამა-შვილის, შალვა და მერაბ მიქელაძეების გახმაურებული გამოსვლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გაფართოებულ სხდომაზე 1973 წელს, საკავშირო აკადემიის მიერ გამოცემული წიგნის, „სამამულო მათემატიკის ისტორია“ წინააღმდეგ. ამ წიგნში უაღრესად დაკნინებული იყო საქართველოს ისტორია და ქართველი მათემატიკოსების დამსახურება მათემატიკის განვითარების საქმეში. ამასთან, „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა მერაბ მიქელაძის საპროტესტო წერილი, რასაც მაშინდელი მთავრობის მწვავე რეაქცია მოჰყვა.

მერაბ მიქელაძე იყო სამაგალითო შვილი, მეუღლე და მამა. იგი სიცოცხლის ბოლომდე გატაცებით მუშაობდა საქართველოს ისტორიის საკითხებზეც. მის კალამს ეკუთვნის არაერთი საინტერესო ნაშრომი და წერილი, რომელიც ქართულ პერიოდიკაში სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა.

Professor Merab Mikeladze – 90



Honored Worker of Sciences, Doctor of Engineering, Corresponding Member of Georgian Academy of Sciences, Professor Merab Mikeladze was born in 1926 in the family of outstanding Georgian mathematician Shalva Mikeladze.

In 1948 after the graduation from the Construction Faculty of Georgian Polytechnic Institute he continued study in Moscow at the Institute of Mechanics Postgraduate School of the Academy of Sciences of the former Soviet Union. There he defended both candidate and doctor's theses. The last one was defended in 10 years after graduation from the Georgian Polytechnic Institute.

Since June of 1952 till September of 1953 he was working at the Institute of Mechanics of the Academy of Sciences of the Soviet Union. Since September of 1953 he was a senior research associate at the Mathematical Institute of Georgian Academy of Sciences. At the same time (1953-56) he delivered lectures at the Tbilisi State University at Mechanico-Mathematical faculty.

In 1958 he was invited as the head of the Department of Theoretical Mechanics at Tbilisi Institute of Transport Engineers. After merge to Polytechnic Institute he headed Department of Structural Mechanics (1960-1982).

He devoted nearly 4 decades to studying researches of thin plates and shells of non-classical problems of Structural Mechanics. Researches in this area of nonlinear behavior of shells, and first of all at the expense of studying of anisotropic shells, considerably extended. The choice of scientific subject was prompted by the fact that in the early forties huge significance was given to anisotropic materials and the constructions made of them. In this regard it should be noted that M. Mikeladze was a pioneer of this sphere by publishing the article in the magazine ``ДАН СССР", 1954 "On the carrying capacity initially anisotropic shells". This work was important also for the reason that instead of using the theory of Nadai-Henki-Ilushin of small elasto-plastic deformations (which was used by almost all Soviet scientists during fifties), he used Levi-Mizes theory of a flow (referred to the version of Mises-Hill for orthotropic bodies). So, the known hypotheses of Kirhgoff-Liav, - the main relations of the theory of a plastic flow of Mises and model of a plastic and rigid body, were the basis of the theory offered by M. Mikeladze. Accordingly homogeneous shells of different thickness and also composite layered constructions, including ideal two-layer models were considered. "Finite relations between stresses and the bending moments were established in case of a symmetric flow to the middle of a surface in particular, the known formulas of Ilushin for isotropic shells were followed. Besides, the Mikeladze's way of research gave the chance to reveal additional relations between internal forces thanks to what widening of a class of statically determined problems became possible.It was possible,in the form of an example,to provide semi-moment theory of anisotropic cylindrical shells whose thickness for this system of external forces were defined in each point of the middle of a shell, proceeding from a fluidity condition. Further M. Mikeladze developed the similar theory for the rotating prefabricated shells which were made along parallels and meridians jointed by hinges.He considered several axially symmetric problems about definition of the carrying capacity and one elasto-plastic problem, in which case explicit solution was enabled. The desire to expand the class of the studied problems and to resolve burning engineering issues inspired M. Mikeladze to use a new version of plasto-rigid calculation scheme, according to which not only elastic but also plastic parts of a shell were considered rigid. As a result of such approach in six-dimensional space of forces and moments the limited hyper surface of fluidity would be transformed to a hyper ellipsoid which, together with the corresponding law of the flow, gave the chance to formulate theorems of limit equilibrium for anisotropic shells as well. By means of these theorems it became possible to determine carrying capacity of the shallow rotating shells, the stretched bending circular plates and other structures. Consequently, the calculation models of the anisotropic shells were extended to such shells, material of which differently interfered with compression and stretching. The main relations received by M. Mikeladze gave the chance to formulate a general problem about the law by means of which the optimal thickness of a shell, at which this loading instantly transferred the entire structure to a fluidity condition, was determined. Such approach provided the uniform strength and the minimum weight (volume) of a construction. In works of M. Mikeladze specific problems, which in case of isotropic material were reduced to results of V. Prager, V. Friberger, B. Tekinalpi and other scientists, were considered. The scientist using similar approach researched problems regarding shaping of optimal middle surface of a metal shell and by means of radioactive radiation of a middle surface of a shell. These researches of M. Mikeladze were partially reflected in his monographs (“Statics of anisotropic plastic operations”, 1963; “Introduction to the technical theory of ideally plastic shells”, 1969) and in many articles which were published abroad. These results were widely covered in survey works of the Soviet and foreign authors (see, for example, article of D. Drakker “Plasticity” in English, published in the collection “Construction Mechanics”, New York, 1960; V. Olshak, Z. Mruzis and Pezhina, translation from English “A Current State of the Theory of Plasticity”, publishing house “Мир”, 1964; article of I. R. Lepik in “The Engineering Magazine” (v. IV, issue 3, 1964); “Balance of Elastoplastic and Plastic-Rigid Plates and Shells“; V. Olshak’s translation from English “Inelastic Behavior of Shells”, publishing house “Мир”, 1969, etc).

In 1965 at the initiative of M. Mikeladze and under his supervision at the Mathematical Institute of Academy of Sciences of the USSR the Department of Applied Mechanics which was completed with young scientists – graduates of GPI was created, the main directions of scientific subject of the Department – research of elastic and elasto-plastic equilibrium of thin plates taking into account piece-wise defined behavior of their separate physical, geometrical and kinematic parameters were planned.

The important place in activity of M. Mikeladze was taken by the Department of Structural Mechanics of the Georgian Polytechnic Institute which was created by his initiative in 1960 and which was directed by him till 1982.

The reasonable organization of the Department and intelligent use of scientific potential of staff gave to the scientist the chance to create single strong research team.

In order to reflect the success of M. Mikeladze and his disciples it could be named several of them: 1. Bending and optimal planning of thin plates, when their thickness behaves as a piece-wise defined function; 2. Calculation of elastic and non-elastic structures consisting of jointed by hinges elements; 3. Planning of structures of equilibrium strength by radiation exposure; 4. Calculation of elastic and plastic cylindrical shells of noncircular shape; 5. Research of carrying capacity; 6. Optimal planning taking into account conditions of rigidity and strength; 7. Calculation of continuous structure; 8. Elastoplastic bending of the plates and cylindrical shells having discontinuous characteristics taking into account material hardening. It is worth mentioning the questions, studied by M. Mikeladze, which concerned continuous casting of steel on radial and oval equipments. The assumption, accepted by him that in a crystallizer and in a zone of secondary cooling to consider a crust of a body as a rigid and plastic shell, which fluidity limit at compression many times over surpasses a fluidity limit at stretching, became a starting point of these researches. These problems together with the scientist were considered also by his disciples.

It should be noted separately works in Structural Mechanics of Machines. They were executed in the early fifties. Generally they concerned to calculations of quickly rotating disks, cylinders and cores within and out of elasticity. Further these researches were continued by his disciples.

Researches of M. Mikeladze are partially reflected in Structural Mechanics of Machines in his monograph "Elasticity and Plasticity of Elements of Structures and Machines", 1976.

Besides, M. Mikeladze is the author of five original textbooks in the field of Modern Structural Mechanics: Bases of the theory of shells, 1974; Theory of plates bending, 1976; Short course of Structural Mechanics, 1977; Bases of calculations of thin-walled spatial systems, 1980; Statics of ideally elasto-plastic and plastic and rigid systems, 1980.

At the end of the short characteristic of scientific activity of M. Mikeladze we will note that he in his scientific area is one of the famous experts both in our country, and beyond its bounds. Neither one, nor two works were published by him on pages of the famous foreign scientific magazines, took part in work of several international forums. His scientific works were characterized by novelty of thought and practical commitment. It testifies to wide erudition and talent of the author creatively to use modern mathematical apparatus in the course of studying of complex engineering challenges.

Taking into account that contribution which M. Mikeladze brought in development of elasto-plastic systems of Structural Mechanics and in preparation of national scientific staff, the scientist adequately carried a rank of the Honored Worker of Science and the Corresponding Member of Academy of Sciences of the Georgian SSR.

He perfectly felt that great significance which was attached to pilot studies in the field of Applied Mechanics. When on his initiative at Mathematical Institute the laboratory base was creating, in Romania a book of Balan and his disciples "Hromoplasticity" was issued, in which visual and simple teaching methods of pilot studies of elasto-plastic systems were described. For the purpose of promoting and development of these methods in our country M. Mikeladze considered necessary to translate this book from Romanian and to publish it. Theoretical researches of this scientist and his disciples were always closely connected with practice. Possibly therefore the fact that young people who under his supervision defended dissertations in Moscow or Tbilisi fruitfully worked both at scientific and pedagogical fields, and in different spheres of a national economy. It should be noted pedagogical activity of M. Mikeladze especially. Not one generation, graduated the Georgian Polytechnic Institute, remember his smoothly running, refined in the language plan and deeply intelligent lectures. In modernization and perfection of educational process the significant role was played by the textbooks in the native language written by him. Besides, within years M. Mikeladze was a member of the scientific commission "Stregth", existing at Presidium of Academy of Sciences of the USSR and the member of the Scientific Methodical Commission of the Ministry of Secondary Vocational Education of Structure Mechanics and Building Constructions.

As the chairman of society "Knowledge" M. Mikeladze one of the first in Georgia gave a helping hand to capable youth of mountain areas and gave them the chance to study at the Georgian Polytechnic Institute. Brought up in a traditional family of the academician Shalva Mikeladze love for the country to him was imparted since the childhood. He was ready always and everywhere to protect interests of Georgia. Then under trying conditions of the Soviet management each patriotic step was regarded as primitive-national manifestation. The proof to that was noisy performance of the father and son, Shalva and Merab Mikeladze on enlarged meeting of Academy of Sciences of GSSR in 1973 against the book, published by Academy of Sciences of the USSR, "Questions of History of Mathematics" in which the role of the Georgian mathematicians was not considered. The acute reaction and repressions of the government of that time was a followed result. Together with all M. Mikeladze was an approximate son, the husband and the father.

The big scientist and the patriot M. Mikeladze until the end of his life worked on questions of history of Georgia. He wrote many interesting works and letters which part was published by the separate book "Totem and Ancient World", Tbilisi, 2001.

გრიგოლ (გია) სოხაძე

მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი მათემატიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თსუ ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი გრიგოლ (გია) სოხაძე.

გ. სოხაძე დაიბადა 1953 წლის 29 აპრილს ქალაქ ქუთაისში. 1970-1974 წლებში იგი სწავლობდა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე პროფესორი გვანჯი მანია გ. სოხაძეს, როგორც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდას, იწვევს მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე თსუ ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში, მოგვიანებით მან მუშაობა გააგრძელა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. 1983 წლიდან გ. სოხაძე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგეა. 2009 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი მუშაობდა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

1980 წელს გ. სოხაძემ კიევში, უკრაინის მათემატიკის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე, წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო მოგვიანებით, 1992 წელს, იმავე ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე მან ასევე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

გ. სოხაძეს მრავალმხრივი სამეცნიერო ინტერესები გააჩნდა. იგი იყო ფართო ერუდიციის, მაღალი დონის მათემატიკოსი. სამეცნიერო ნაშრომების დიდი ნაწილი კი ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მიმართულებით აქვს გამოქვეყნებული. გასაოცარი იყო მისი სამეცნიერო პროდუქტიულობა - უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში მის მიერ გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობამ 100-ს გადააჭარბა. მის ბოლოდროინდელ შრომებში გამოიკვეთა ახალი სიღრმისეული კავშირები ერთი მხრივ უსასრულოგანზომილებიან ანალიზსა და მალიავენის აღრიცხვას შორის, ხოლო მეორე მხრივ, სტოქასტურ აღრიცხვასა და სტატისტიკური დასკვნების თეორიას შორის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბოლო ხუთ წელიწადში მისი ხელმძღვანელობით წარდგენილმა სამმა სამეცნიერო პროექტმა მოიპოვა საგრანტო დაფინანსება, რითაც კიდევ ერთხელ გამოვლინდა გ. სოხაძის მეცნიერეული კვლევების ხარისხობრივი დონე და ინტერესთა მრავალფეროვნება.

აღნიშვნის ღირსია ბატონი გიას მრავალმხრივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი იყო მრავალი სასწავლო კურსისა თუ სახელმძღვანელოს ავტორი, არაერთი ახალგაზრდა აზიარა მან მეცნიერული ცოდნის საფუძვლებს. იგი დაუღალავი, მომთხოვნი და საინტერესო პედაგოგი იყო, მას ჰქონდა უნარი მომთხოვნელობა მამაშვილურ სითბოსა და სიყვარულში გაეზავებინა, რაც მეტად ეფექტურს ხდიდა მის ახალგაზრდებთან მუშაობას. ის იყო სტუდენტების საყვარელი ლექტორი, რაც ხშირ შემთხვევაში ადმინისტრაციას ლოჯისტიკურ პრობლემებს უქმნიდა - გაცილებით მეტი მსურველი ეწერებოდა მის არჩევით კურსებზე, ვიდრე ეს სასწავლო გეგმით იყო გათვალისწინებული. გ. სოხაძის ხელმძღვანელობით დაცული იქნა მრავალი დისერტაცია კიევსა და თბილისში. ამაჟამად, ის ერთდროულად ხუთ დოქტორანტს ხელმძღვანელობდა სხვადასხვა უნივერსიტეტიდან.

ბატონი გია ინტენსიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. იგი იყო საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის სათათბიროს წევრი, საქართველოს სტატისტიკური ასოციაციის გამგეობის წევრი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტი, მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის ტრენერი, ჟურნალ ,,თსუ მეცნიერების'' სარედაქციო კოლეგიის წევრი, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის ,,მათემატიკა'' რედაქტორის მოადგილე. გია ყველგან ბოლომდე იხარჯებოდა.

წავიდა ჩვენგან აღიარებული მეცნიერი, საერთაშორისო დონის მათემატიკოსი. ყველა, ვინც გიას იცნობდა, დიდად აფასებდა მის მაღალ პროფესიონალიზმს, პრინციპულობასა და ობიექტურობას, გამორჩეულ ადამიანურ თვისებებს, ღირსების გრძნობას და კეთილგანწყობას კოლეგების მიმართ. მისი გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია როგორც ოჯახისათვის, ისე მისი მეგობრებისა და კოლეგებისათვის.

ვახტანგ კვარაცხელია
ომარ ფურთუხია

Grigol (Gia) Sokhadze

We are grieved by the sudden death of the well-known mathematician, Professor of the Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Head of Department of I. Vekua Institute of Applied Mathematics of TSU, Doctor of physics and mathematics, Grigol (Gia) Sokhadze.

G. Sokhadze was born on April 29, 1953, in Kutaisi. In 1970-1974 he was a student of physics and mathematics faculty at the Kutaisi State Pedagogical Institute. After graduating from the Institute, G. Sokhadze, being a young man of special talent, was invited by Professor Gvanji Mania to work as a research worker at the I. Vekua Institute of Applied Mathematics of TSU.

Later he started work at A. Razmadze Institute of Mathematics of the Georgian Academy of Sciences. Since 1983 he had been Professor and Head of Chair of Higher Mathematics at Kutaisi Akaki Tsereteli State University. Since 2009 to the end of his life he had been working at the Faculty of Exact and Natural sciences of TSU.

In 1980 G. Sokhadze successfully defended his candidate's thesis in Kiev, at the Institute of Mathematics of Ukraine, and in 1992 -– the doctor's thesis at the same Institute.

G. Sokhadze had versatile scientific interests. He was a well-educated mathematician, scientist of high level. Most of his scientific investigations are dedicated to problems of probability theory and mathematical statistics. He was extremely productive as a researcher – for the last 10 years he had been the author of over 100 scientific papers, published in different scientific journals. His latest works reveal new and profound relations between infinite-dimensional analysis and Malliavin calculus, on the one hand, and stochastic calculus and theory of statistical inference, on the other hand. It should also be mentioned that for the last five years three scientific projects under his guidance have obtained funding through grants which is one more proof of the high level of his scientific investigations and diversity of his interests.

G. Sokhadze was also remarkable as a teacher to many young scientists, author of many text-books, a favourite lecturer with students and often those wishing to attend his lectures were more than it was envisaged by the educational course. Many theses were defended under his guidance both in Kiev and Tbilisi. He was guiding the work of five doctoral students for the last years.

Besides the scientific and pedagogical activities he was also the member of the Council of the Georgian Mathematical Society, member of the Board of the Georgian Statistical

Society, accreditation expert of the National Center for Educational Quality Enhancement, trainer at the Teachers' Training centre, member of the Editorial Board of the journal "TSU science", Deputy Editor-in-Chief of the Editorial Board of the scientific-popular journal "Mathematics". He exerted himself to the end.

The death of G. Sokhadze, famous scientist, mathematician of international level, a principal, distinguished person and a reliable colleague, is an irreparable loss to his family, friends and colleagues.

Vakhtang Kvaratskhelia
Omar Purtukhia

Abstracts of Plenary and Invited Speakers

პლენარული და მოწვეული მომხსენებლების თეზისები

Holomorphic Functions on the Symmetrized Bidisk – Realization, Interpolation and Extension

Tirthankar Bhattacharyya

Indian Institute of Science, Bengaluru, Karnataka, India

email: tirthankar.bhattacharyya@gmail.com

This talk is about the open symmetrized bidisk $\mathbb{G} = \{(z_1+z_2, z_1z_2) : |z_1|, |z_2| < 1\}$. We shall start with basic properties of this object and then turn to function theory. The main aim is to relate function theory with reproducing kernel Hilbert spaces of holomorphic functions. In particular, three new thing will be discusses.

1. The Realization Theorem: A realization formula is demonstrated for every f in the norm unit ball of $H^\infty(\mathbb{G})$.

2. The Interpolation Theorem: Nevanlinna–Pick interpolation theorem is proved for data from the symmetrized bidisk and a specific formula is obtained for the interpolating function.

